საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: „ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა.“

შპს „ეიმ ბილდინგ სითი”-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ, 2019 წლის მარტში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს, ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია 2019 წლის მარტში შ.პ.ს. „გეო-ძიება 2013“-ის გეოლოგიური ჯგუფის მიერ, შ.პ.ს. „ეიმ ბილდინგ სითი”-ს დაკვეთით. საინჟინრო-გეოლოგიურ სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ინჟინერ-გეოლოგი გ. იაშვილი.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ..... 16 გვ;
2. ცხრილი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესახებ ..... 2 გვ;
3. ცდა კომპრესიაზე ..... 2 გვ;
4. გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები ..... 2 გვ;
5. ჭაბურღილის სვეტები ..... 5 ფურც;
6. მოედნის ლითოლოგიური ჭრილი ..... 2 ფურც;
7. ტოპოგეგმა ..... 1 ფურც;
8. ფოტომასალა ..... 2 ფურც.

პროექტით საკვლევ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს 11 სართულიანი, საცხოვრებელი სახლი სარდაფის სართულით. კონსტრუქციულად შენობა

რკინაბეტონისაა, კარკასული ტიპის, სიხისტის დიაფრაგმებით. შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - II.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 5 ჭაბურღილი, რომელთა საერთო სიგრძემ 50.0გრძ/მ. შეადგინა. ბურღვა წარმოებდა საბურღი დანადგარით (УГБ-1ВС)-ით, მექანიკურ-სვეტური ბურღვის მეთოდით, მშრალი ბურღვის წესით, შემცირებული რეისებით, ნიმუშის უწყვეტი ამოღებით. სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა გრუნტის 6 ნიმუში მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები (ს.გ.ე.):

ნაყარი გრუნტი – ტექნოგენური გრუნტი, წარმოდგენილი სამშენებლო ნარჩენებით, თიხნარით, ხრეშის და კენჭნარების 5-10%-მდე ჩანართებით;

ს.გ.ე. 1 – თიხნარი, ყავისფერი, ნახევრად მყარი;

ს.გ.ე. 2 – თიხა, ყავისფერი, ნახევრად მაგარი;

ს.გ.ე. 3 – კენჭნარი ქვიშური შემავსებლით 30%-მდე, საშუალო ფრაქციული, მშრალი;

ანგარიშში საკმაოდ ვრცლადაა მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

ჭაბურღილების მონაცემები შემდეგნაირია:

1. (ტექნოგენური) გრუნტი ($_{t}Q_{IV}$), რომელიც გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე, წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით. ნაყარი გრუნტის სიმძლავრე საკვლევ ტერიტორიაზე 2.0მ-ს აღწევს. ნაყარი გრუნტი ქვაბულით მოხსნილი იქნება და ამიტომ ის არ იქნა გამოყოფილი როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი.

2. თიხნარი (dpQ_{IV}) - გავრცელებულია უბანზე 1.0მ-დან, წარმოდგენილია მოყავისფრო ნახევრად მყარი თიხნარებით, ხვინჭის ჩანართებით 15-20%-მდე, თიხნარი საკვლევ უბანზე მცირე სიმძლავრითაა წარმოდგენილი (1,9-2,7მ), ამიტომ ის არ განიხილება ფუძე-გრუნტად და რეკომენდირებულია მისი ქვაბულით მოხსნა. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

შიგა ხახუნის კუთხე	$\varphi = 17^0$
ხვედრითი შეჭიდულობა	$C = 0.3$ კგძ/სმ^2
დეფორმაციის მოდული	$E = 120$ კგძ/სმ^2
საანგარიშო წინაღობა	$R_0 = 2.0$ კგძ/სმ^2

3. თიხა ნახევრად მაგარი კონსისტენციის (dpQ_{IV}). ნახევრად მაგარი კონსისტენციის თიხური ქანები დაფიქსირებულია მთელ საკვლევ ტერიტორიაზე 3.6მ-6.8მ. სიღრმის ინტერვალში. ფენის სიმძლავრე 2,9მ. აღნიშნული ფენის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

შიგა ხახუნის კუთხე	$\varphi = 19^0$
ხვედრითი შეჭიდულობა	$C = 0.42$ კგძ/სმ^2
დეფორმაციის მოდული	$E = 140$ კგძ/სმ^2
საანგარიშო წინაღობა	$R_0 = 2.2$ კგძ/სმ^2

4. კენჭნარი სხვადასხვა ფრაქციის (ჭარბობს საშუალო ფრაქცია) კაჭარის იშვიათი ჩანართებით 10-15%-მდე, ქვიშნარის შემავსებლით (20%-მდე). კენჭნარი წარმოდგენილია კარგად დამუშავებული და დახარისხებული კენჭებით, სადაც გვხვდება კაჭარის ჩანართები, ხოლო შემავსებლად ქვიშნარი გვევლინება. კენჭები უმეტესად საშუალო და დიდი ზომისაა. ჭარბობს 5-20სმ. ფრაქციის კენჭები, ხოლო კაჭარი 10-15%-ს არ აჭარბებს. ფენა გავრცელებულია საკვლევი ტერიტორიის მთელ ფართზე და შესაბამისად მისი სიმძლავრე წარმოდგენილია 6.5მ-დან გამოკვლეულ სიღრმემდე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ სამშენებლო მოედანი საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის, თბილისის წყალწნევიანი სისტემის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდრო-გეოლოგიურ რაიონში. საკვლევ უბანზე და მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჰიდროგეოლოგიური ერთეული:

1. შუა და ზედა ოლიგოცენის და ნეოგენური ასაკის ვულკანოგენური დანალექი ქანების წყალშემცველი კომპლექსი;

2. მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი.

შუა და ზედა ოლიგოცენისა და ნეოგენური ასაკის წარმონაქმნებში გრუნტის წყლები ძირითადად ნაპრალოვანი ტიპისაა. მათი ცირკულაციის სიღრმე დამოკიდებულია ძირითად ქანებში განვითარებულ ნაპრალთა სისტემის სიღრმესა და ხარისხზე. გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ გამოვლინდა.

ჩატარებული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ შენობის ზომების, სართულიანობისა და გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით, ფუძის გრუნტებად რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნეს **ს.გ.ე. 2** და **ს.გ.ე. 3**:

ს.გ.ე. 2 – თიხა, ყავისფერი, ნახევრად მაგარი, რომლის დეფორმაციის მოდულის და პირობითი წინაღობის მნიშვნელობა შეადგენს:

E_0 = 140კგ/სმ2

R_0 = 2.2კგ/სმ2

ს.გ.ე. 3 – კენჭნარი ქვიშნარის შემავსებლით. მისი პირობითი წინაღობის და დეფორმაციის მოდულის მაჩვენებელია:

E_0= 400კგ/სმ2;

R_0= 6.0კგ/სმ2.

საკვლევ უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა, ან პროცესი არ ფიქსირდება. მოედანი გეომორფოლოგიურად წარმოადგენს ხელოვნურად მოსწორებულ ადგილს, საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და ექსპლოატაციას, მოსალოდნელი არ არის.

სეისმური თვალსაზრისით, ნორმატიული დოკუმენტის მიხედვით, გამოკვლეული უბნის სეისმურობა, MSK64 სკალის შესაბამისად, არის 8 ბალი.

დასკვნა

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევები „ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით,

აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნათა შესაბამისად: ს.ნ. და წ. 1.02.07-87 – "საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის", პ.ნ. 02.01-08 – "შენობა-ნაგებობების ფუძეები", პ.ნ. 01.01.09 – „სეისმომედეგი მშენებლობა", ს.ნ. და წ. IV-5-82 – „მიწის სამუშაოები", ს.ნ. და წ. 3.02.01-87 – „მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები", პნ 01.05-08 – „სამშენებლო კლიმატოლოგია", ს.ნ და წ. 2.03.11-85 – „სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისგან დაცვა". დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი, პროფესორი: */ია მშვიდობაძე/*

პასუხი შენიშვნებზე

წარმოდგენილი დოკუმენტი, მასში არსებული ინფორმაციის სიმცირის გამო ვერ ჩაითვლება მისაღებად, ასევე მასში არ არის მითითებული- -ქანების მიმართების აზიმუტი; -ქანების დახრის კუთხე, -ქანების სიმძლავრეები; -ხომ არ არის ქანების მოცურების საფრთხე, -შურფების მონაცემები, -ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილები. -რამდენად გამოფიტულია თითოეული ქანი; - ქანების ჰიდროგეოლოგიური მონაცემები, - ხომ არ აღინიშნება ან ხომ არ არის საფრთხე არახელსაყრელი გეოლოგიური მოვლენების განვითარების.

მოცემული შენიშვნების თაობაზე მოგახსენებთ რომ :

1. 3 ფურცლიანი დოკუმენტი ვერ ჩაითვლება მცირე ინფორმაციად, რამეთუ ეს არის საექსპერტო შეფასება და არა საერთო გეოლოგიური კვლევა, რომელიც მოცემულია ცალკე ანგარიშის სახით;
2. ქანების დახის კუთხესა და მიმართების აზიმუტს გეოლოგები იძლევიან ძირითადი ქანებისათვის, ჩვენს შემთხვევაში ძირითადი ქანები გეოლოგიურ ჭრილში არ გვაქვს;
3. ქანების სიმძლავრეები მოცემულია ლითოლოგიურ ჭრილებზე და შევიტანეთ საექსპერტო შეფასებაშიც;
4. რაც შეეხება შურფის მონაცემებს, შურფი საერთოდ არ ყოფილა, იყო 5 ჭაბურღილი, რომელთა მონაცემებიც ლითოლოგიური ჭრილების სახით თან ერთვის გეოლოგიური კვლევის ნაწილს და დაკვნაშიც აღნიშნული გვაქვს, რომ კვლევაში 5 ფურცელი ლითოლოგიური სვეტია (ლითოლოგიური სვეტი იგივეა რაც შურფის/ჭაბურღილის სრულფასოვანი მონაცემები);
5. ტეროტორიის გეოლოგიური ჭრილის შესახებ გვიწერია, რომ 2 ფურცლითაა წარმოდგენილი, ამგები ქანები და სგე-ბი ჩამოთვლილი და დახასიათებულია;
6. ჰიდროგეოლოგიურ მონაცემებში წერია, რომ წყალი მოცემულ სიღრმემდე არ გახსნილა;
7. გამოფიტვის ხარისხი მიეთითება ძირითად ქანებს - არგილითებისა და სუბარგილითების მორიგეობას, რაც ჩვენს გეოლოგიურ ჭრილში არაა;
8. რაც შეეხება ქანების მოცურების საფრთხეს და არახელსაყრელ გეოლოგიურ მოვლენებს, დასკვნაში გვიწერია, რომ საკვლევ ტერიტორიაზე რაიმე სახის გეოდინამიკური მოვლენები ან პროცესები არ ფიქსირდება.

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი და ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, იოსებიძის №57, ბ.7; ტელ.: 599 45 03 30
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა;
	1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი)
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებული მაქვს **25 სამეცნიერო შრომა**; **სახელმძღვანელოები:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს** : "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. №103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ №064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში შპს ალდა ჯგუფის საკუთრებაში არსებულ №035/796 ნაკვეთზე მრავალსართულიანი (მიწისქვეშა ავტოსადგომით) საცხოვრებელი სახლის პროექტის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში"; "ქ. თბილისში, უშანგი ჩხეიძის ქ.№ 20-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში და დასკვნა-რეკომენდაციები"; "ბათუმში მელიქიშვილის ქ.90-ში ს/კ05.27.46.023 7 სართულიანი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშის საექსპერტო დასკვნა"-2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულში, კოოპერატივ „ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარიში 2018წ;ქ. თბილისში, ოჟიოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი №20, ნაკვ. №01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; „ქ.თბილისში, ბაგების სტუდქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ, საცხოვრებელი კომპლექსი "ოდა"-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში" 2018წ;"ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.№90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ. აღებული **მაქვს პატენტი გამოგონებაზე** "ბეტონის საყრდენი კედლების კონტრფორსების მოწყობა ჰორიზონტალურად განლაგებული ხიმინჯების საშუალებით"
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით

დიპლომი

ЛВ № 055149

ეს დიპლომი მიეცა [illegible] მშვიდობაძეს

მასზე, რომ იგი 1979 წელს შევიდა

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი

და 1984 წელს დაამთავრა

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1984 წ. „28" ივნისის გადაწყვეტილებით

ი. ნ. მშვიდობაძეს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1984 წ. „1" X

სარეგისტრაციო № 1677

Грузинский яз.

ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан Мшвидобадзе И. Назлиевне

в том, что она в 1979 году поступила в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1984 году окончила полный курс названного института

по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „28" июня 1984 г. Мшвидобадзе И. Н.

присвоена квалификация инженера-строителя.

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П. Город Тбилиси „1" X 1984 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Гознака. 1983.

მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის სექტემბერი

საქართველოს მეტნიერებათა ეროვნული აკადემიის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის

G 04.06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით

(ოქმი № 3 28.05.2003)

ილ ჟვანიას

მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გასცა საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003

Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences

By decision of the Dissertation Board G 04.06 №5

(Protocol № 3 of 28.05.2003)

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES

Geological - Mineralogical 04.00.07,

WAS CONFERRED ON

Ia Mshvidobadze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Exsperts G. Kharadze

Georgia IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო

GEO



ბარათის No / CARD No
12IB83718

სახელი / FIRST NAME
ია
IA

გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მდ / F	01024023058

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
21.10.1962	02.11.2022

ხელმოწერა
SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
02.11.2012

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 01/12
სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGEO12IB837185010240230 58<<<<
6210216F2211020GEO<<<<<<<<<<<3
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<